ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 2022 №167 (8945) ფასი: 80 თეთრი

## „ფორმულას“ ჟურნალისტს პირდაპირ ეთერში თავს დაესხნენ


გვ.5

# „ივანიშვილი იაფფასიანი ტრიუკებით ფონს ველარ გავა“


გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „გოგაშვილი ოპოზიციასაც ევაჭრება, შეხედავს, ოპოზიციიდან ვინ როგორ შეეცდება მის დახსნას ამ მდგომარეობიდან“



„ოპოზიციამ რადგან ასეთი ხანგრძლივი დასვენების უფლება მისცა თავის თავს, ე.ი. მათ არა აქვთ ცუდი მდგომარეობა და ვერც იმას ვერ აცნობიერებენ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა“

## ირაკლი კობახიძე: „შანტაჟის ფონზე არც ერთი კონსტიტუციური ნორმა არ უნდა შეიცვალოს“


გვ.3

## როგორ აფინანსებს კრემლი რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს სხვა ქვეყნებში?


გვ.3

უკრაინელი ექსპერტი: „დუგინას მკვლელობა ფსბ-სა და გრუ-ს შორის დაპირისპირების შედეგია“



## სოსო გოგაშვილის ცოლი შს მინისტრს მიმართავს

გვ.5

## გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანაა, სამარცხვინო ქვეყნის ღალატის ქრონიკა დიდხანს არ გაგრძელდეს“

გვ.2




## ბორის ჯონსონი კიევში ჩავიდა

## ადამ კინზინგერი: „საქართველოს ვურჩევ, რუსეთთან ფლირტი შეწყვიტოს“

გვ.6






## საგანგებო სიტუაციების სამსახური მოსახლეობას მიმართავს

3 გიორგი ბოტკოველი: „პოლიციამ ახალქალაქში ნაციონალური მოძრაობის წევრი არტურ მკოიანი უკანონოდ დააკავა“

4 საქართველო საკვები და სასმელი პროდუქტების თითქმის მესამედს რუსეთში ყიდულობს

7 კვარაცხელიას ბრიტანელებიც მისტირიან

6 ჯო ბაიდენი: „უკრაინას დაახლოებით 2.98 მილიარდი დოლარის იარაღი და აღჭურვილობა გადაეცემა“

# „ივანიშვილი იაფფასიანი ტრიუკებით ფონს ვეღარ გავა“

## ლელა ჯეჯელავა: „გოგაშვილი ოპოზიციასაც ევაჭრება, შეხედავს, ოპოზიციიდან ვინ როგორ შეეცდება მის დახსნას ამ მდგომარეობიდან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



***– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს. არასამთავრობო ორგანიზაციებიც ბოიკოტის რეჟიმში გადადიან და უარს ამბობენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. რამდენად სახიფათოა, როდესაც სრულიად მარტო ტოვებს „ქართულ ოცნებას“ როგორც ოპოზიცია, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები?***

– ფაქტობრივად, „ქართული ოცნება“ უკვე კარგა ხანია მარტოა. ამის გაფორმება როგორ მოხდება, ამას არსებითად დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მართალი გითხრათ, მე ისედაც ვერ ვხედავდი აზრს, რა რეალურ შედეგს მოიტანდა, როდესაც არასამთავრობოებმა განაცხადეს თანხმობა, რომ ხელისუფლებასთან ერთად იმუშავებდნენ 12 პუნქტის შესრულებაზე.

ჩვენ ხომ ზუსტად ვიცით უკვე, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი და ამოცანები სრულიად არ ემსახურება არც იმ 12 პუნქტის შესრულებას და არც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. უფრო ღიად როგორ უნდა გაცხადდეს, რომ დღევანდელი ხელისუფლება აღმოჩნდა ცივილიზებული სამყაროს საპირისპირო ნაპირზე და მისი ერთადერთი ღერძი, რომელსაც ის ახლა ეყრდნობა, არის რუსეთის ხელისუფლება. სხვა საყრდენი მას უკვე აღარ გააჩნია, ამიტომ მგონია, რომ ეს არის სრულიად ნორმალური.

ჩვენ ახლა ვიცით, რომ საქართველოს ოკუპაცია არის საქართველოს ხელისუფლების მიერ უკვე შემდგარი ფაქტი. თუ ჩვენ შევძლებთ და ვისარგებლებთ იმ შემთხვევით, რომ რუსეთს უმძიმესი პერიოდი ელოდება წინ და განვთავისუფლდებით ოკუპაციისაგან, ეს არის ჩვენი ერთადერთი მიზანიც, ამოცანაც და ერთადერთი შესაძლებლობაც.

***– ხელისუფლებისგან რომ არ არის ამის მზაობა? არანაირი ნიშანი არ ჩანს, რომ მას ამისგან უნდა განთავისუფლება. საზოგადოებას მოუწოდებთ ამისკენ?***

– არა, ხელისუფლებას არ უნდა განთავისუფლება. ის თანამონაწილეა ამ პროცესების, ის ოკუპაციის ნაწილია. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ქართველი საზოგადოების. ამ ხელისუფლებისგან განთავისუფლება, ნიშნავს ოკუპაციისგან განთავისუფლებას, უკვე საბოლოოდ!

***– აქტიურად გრძელდება დარტყმა დასავლეთზე. ასეთი შეფასებაც მოვისმინე, რომ ხელისუფლება ცდილობს განქორწინებას დასავლეთთანო. დასავლეთსაც ხომ არ ამოუვა ყელში ეს ყოველივე და ზურგს ხომ არ შეგვაქცევს?***

– იცით, ძალიან ინფანტილურია ფიქრი, რომ დასავლეთი თავისი სტრატეგიული ინტერესების განხორციელების გზაზე დაიწყებს ბუტიაობას ან რაღაცა ემოციური გადაწყვეტილებებით იხელმძღვანელებს. არა, ეს არის სრულიად გამორიცხული. არაერთგზის ითქვა და გაცხადდა ჩვენი პარტნიორების მხრიდანაც და, რაც მთავარია, შეერთებული შტატების მხრიდან, რომ საქართველოსთან პარტნიორობა შედის მათ სტრატეგიულ ინტერესებში. ბუნებრივია, ისინი ამ გზიდან არსად გადახვევას არ აპირებენ. შესაბამისად, ყველაფერი, რაც მათ ამ გზაზე გადაეღობებათ, ისინი ამ წინააღმდეგობებს მოხსნიან. აქ არსებობს ძალიან კარგი კონტექსტი იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების და ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ნება არის თანხვედრილი პარტნიორობის შესახებ. ამიტომ მე არ მგონია, რუსეთმა, რომელსაც ისედაც ძალიან რთულად აქვს საქმე და ასევე ჩვენმა ხელისუფლებამ, რომელსაც პულსიც აღარ ესინჯება, ამ ყველაფერს წინააღმდეგობა გაუწიოს. თუმცა, რასაკვირველია, მცდელობა იქნება.

***– ქალბატონო ლელა, მართალია საზოგადოების დიდი ნაწილი სერიოზულად აღარ აღიქვამს ამ ოთხეულის წერილებს, რომელსაც პერიოდულად გვთავაზობენ ხოლმე, მაგრამ ეს ხომ არ დააზიანებს დასავლეთთან თანამშრომლობის პროცესს?***

– ჩვენ ხომ გადასარევად ვიცით ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება. ეს ასევე კარგად იციან ჩვენმა პარტნიორებმა. ვინ არის ხუნდაძე? ვინ იცნობდა მას საერთოდ და როგორ მოხვდა პარლამენტში?! ხომ ყველამ ვიცით, რომ ის არანაირი ხალხის რჩეული არ არის, ის არის ბიძინას რჩეული.

***– ეს ოთხეული არის ბიძინას ხმა? მის პოზიციას ახმოვანებენ?***

– რასაკვირველია. ის არის ბიძინას ხმა და ეს იცის ქართველმა საზოგადოებამ. ასევე, იციან ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა. ამიტომ ახლა, ხუნდაძე და სუბარი რას დაწერს, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ბიძინა ივანიშვილის მდგომარეობა არის ძალიან რთული. ეს ჩანს იმ წერილებშიც. მისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა ამ წერილებიდანაც გამოსჭვივის. რამდენადაც მძიმდება მდგომარეობა, იმდენად მეტი აბსურდები გვხვდება ამ წერილებში.

**„ოპოზიციამ რადგან ასეთი ხანგრძლივი დასვენების უფლება მისცა თავის თავს, ე.ი. მათ არა აქვთ ცუდი მდგომარეობა და ვერც იმას ვერ აცნობიერებენ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა“**

***– ბიძინა ივანიშვილის ცნობილ წერილში, თითქოს იყო აქცენტები დასავლეთთან ურთიერთობის დალაგების შესახებ. ყველა ფიქრობდა, რომ ახალი ეტაპის დასაწყისი იქნებოდა ეს. თუმცა ვხედავთ, ბიძინა ივანიშვილი მეორე ხელით როგორ ებრძვის დასავლეთს. რა თამაშს თამაშობს?***

– ეს არის იაფფასიანი ტრიუკები, რომლითაც ბიძინა ყოველთვის ფონს გადიოდა აქამდე, მაგრამ ახლა ვითარება არის შეცვლილი. სრულიად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს და ამ იაფფასიანი ტრიუკებით ფონს გასვლა მას ძალიან გაუჭირდება. სამწუხაროდ, მე მაინც მეგონა, რომ მას აღმოაჩნდებოდა საღი აზრი და აბსოლუტურად სწორედ შეაფასებდა სიტუაციას, მაგრამ მას ამის უნარი არ აღმოაჩნდა. ამიტომ ამ თავისი ნაცადი ხერხით, რა ხერხიც ნაცადი აქვს კრიმინალურ სამყაროში, სადაც ფული იშოვა თავის დროზე, სწორედ იქ აპრობირებული ხერხით აპირებს პოლიტიკურ ველზე თამაშს, მაგრამ არ გამოვა ეს ამბავი. იმიტომ, რომ მასზე უფრო დიდი მატერიალური შესაძლებლობების, მასზე დიდი გავლენების და უფრო დიდი უნარ-ჩვევების ადამიანები არიან ამ ველზე.

***– ქალბატონო ლელა, ოპოზიციაზეც უნდა გკითხოთ.***

– ოღონდ ეგ არ მკითხოთ და რაც გინდათ მკითხეთ.

***– ცხელ შემოდგომას გვიანონსებენ. თითქოს მიზანმიმართულად სალაპარაკო თემა მისცეს „ოცნებას“, თუ როგორი დესტრუქციულია ოპოზიცია. რას იტყვით ოპოზიციის გეგმებზე?***

– ზაფხული უფრო ცხელია საერთოდ, ვიდრე შემოდგომა და თუ ასეთი ცეცხლის დანთება უნდოდათ, ზაფხულშიც ჰქონდათ ამისი შესაძლებლობა. რა ვიცი, დასვენება არჩიეს, გეგონება ძალიან გადაღლილები იყვნენ. ოღონდ არ ვიცი, რისგან დაიღალნენ, მართალი გითხრათ. ფაქტი სახეზეა, რადგან ოპოზიციამ ასეთი ხანგრძლივი დასვენების უფლება მისცა თავის თავს, ე. ი. მათ არა აქვთ ცუდი მდგომარეობა და ვერც იმას ვერ აცნობიერებენ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ აუცილებელია ახალი სისხლი ოპოზიციაში. მათ ნდობა აქვთ დაკარგული საზოგადოების დიდ ნაწილში. ძალაუფლება გდია და მისი ამღები არავინ არისო. არის ახლა ის მოცემულობა, რომ ახალი ოპოზიციური ძალები გამოჩნდნენ?***

– იცით რა, ყოველთვის ყველაფერი არის შესაძლებელი. გამოჩნდება – არ გამოჩნდება, ჩვენ ამაზე ვერ ვიმკითხავებთ, მაგრამ ამჟამინდელი პოლიტიკური პროცესი რომ ითხოვს უკვე განმუხტვას, ეს ფაქტია. ამას ვინ გააკეთებს, არსებული ოპოზიცია თუ ახალი, რომელიც შესაძლოა გამოჩნდეს, ამას ვერ გეტყვით.

***– სოსო გოგაშვილმა შეაშინა ოპოზიცია.***

– დიახ, აი ის პროცესი, რომელიც გოგაშვილმა დააანონსა, ოპოზიციაში ხელისუფლების საყრდენი პერსონების არსებობა და ამისი გაშიფვრა, ეს შესაძლოა იყოს ძალიან კარგი პროცესი. მტკივნეული, მაგრამ კარგი პროცესი. ბოლოს და ბოლოს, ყველამ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება ვისწავლოთ.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ლუსტრაციის პროცესი დაიწყება?***

– რასაკვირველია, ლუსტრაციის პროცესი დაიწყება. რაც არ უნდა მერე ბევრი იძახონ, რომ ასე არ არის და გოგაშვილი ცრუობს, ყველამ ვიცით, რომ ასე არ იქნება. ჯერჯერობით გოგაშვილი, მართალია, ვაჭრობს, შეხედავს, ოპოზიციიდან ვინ როგორ შეეცდება მის დახსნას ამ მდგომარეობიდან, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს პროცესი მაინც გარდაუვალი იქნება! პირადად მე თუ მკითხავთ, ლუსტრაციის პროცესი საქართველოში კარგა ხანია დასრულებულია, ყოველგვარი სიების გარეშეც. ძალიან კარგად და ნათლად ჩანს, ვინ ვის ინტერესებს ემსახურება. ალბათ მალე გამოჩნდება ეს სიებიც და ერთი ეტაპიც ჩაიხურება ისე, რომ ბევრი პოლიტიკოსი და პერსონა, უბრალოდ, იძულებული გახდება გადგეს გვერდზე. ეს არც ცუდი პროცესი იქნება და ამაში არც არაფერი ტრაგიკული. ცარიელი ადგილი კი დიდხანს არ რჩება ცარიელი. ეს კი სიახლეების დასაწყისი იქნება.

# გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანაა, სამარცხვინო ქვეყნის ღალატის ქრონიკა დიდხანს არ გაგრძელდეს“



– უტიფრობის, თავხედობის, ქვეყნის ღია ღალატის ქრონიკას ვადევნებთ თვალ-ყურს. ეს რეჟიმი ივანიშვილის პირადი ინტერესების, მისი ქონების და მისი ძალაუფლების გამო, ჩვენი ქვეყნის ბედით დასავლეთთან და შეერთებულ შტატებთან ვაჭრობს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიამ უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აქციაზე განაცხადა.

მისივე განცხადებით, „ქართული ოცნება“ საკუთარი ინტერესების გამო, ქვეყნის მომავალს წირავს.

– ჩვენი ამოცანაა, რომ ამ სამარცხვინო ქვეყნის ღალატის ქრონიკა ძალიან დიდხანს არ გაგრძელდეს და ეს ფურცელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც გვყავს მთავრობა, რომელიც მტერს საქმეს უკეთებდა და მოყვარეს უპირისპირდებოდა, წარსულს ჩაბარდეს და როგორც ცუდი სიზმარი, ისე გავაყოლოთ წყალს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ამერიკელი კონგრესმენის, ადამ კინზინგერის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, რომ დასავლეთიდან დღეს უფრო მწვავე კრიტიკა გვესმის, არამედ ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ეს კრიტიკა ქვეყნის შიგნით არსებულ ძალიან მძიმე რეალობას გამოხატავს.

– სანამ ის მთავრობა გვყავს, რაც გვყავს, ამ სირცხვილს ვერ მოვიშორებთ, იმიტომ, რომ ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე ის მთავრობა წარმოგვაჩენს, რაც გვყავს. ამიტომ ერთადერთი რამ, რამაც შეიძლება ეს შეცვალოს, ეს არის ამ მთავრობის ძალაუფლებიდან ჩამოშორება და ისეთი ხელისუფლების ყოლა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ყველაფერზე წინ დააყენებს, რომელიც თავისუფალ სამყაროსთან დაპირისპირების ნაცვლად, ყველას აჩვენებს, რომ საქართველო არის თავისუფალი სამყაროს ბუნებრივი ნაწილი და იმსახურებს ნატოს წევრობას, დასავლეთთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას ისე, რომ დაცულები ვიყოთ და დიახ, იქნება ამ ბრძოლის ნაწილი პუტინის რუსეთის ბოროტების წინააღმდეგ. ეს ვერ მოხდება, სანამ ეს რეჟიმი გვყავს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მან ასევე, უკრაინას და უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

– უკრაინელი ხალხი დღეს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, არის თავისუფლებისთვის ბრძოლის, თავგანწირვის და გმირობის სიმბოლო და მათი ბრძოლის შედეგები ჩვენს მომავალზე და თავისუფალ სამყაროზე პირდაპირ აისახება. ამიტომ ისინი ჩვენს მხარდაჭერას იმსახურებენ, – აღნიშნა ბოკერიამ.

# ბადრი ჯაფარიძე: „უკრაინელები ჩვენი თავისუფლებისთვისაც იბრძვიან“



– უკრაინელი ხალხი მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის 31-ე წლისთავს აგრესორთან თავგანწირული ბრძოლით ხვდება – ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო გაერთიანებულია უკრაინელი ხალხის ირგვლივ, – ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ბადრი ჯაფარიძემ რუსთაველის გამზირზე, უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მიმდინარე აქციაზე განაცხადა.

როგორც ბადრი ჯაფარიძემ აღნიშნა, ყველანი ვალდებული ვართ, პატივი მივაგოთ უკრაინელების თავგანწირულ ბრძოლას, რადგან უკრაინა-რუსეთის ომი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაც არის.

– უკრაინელი ხალხი მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის 31-ე წლისთავს ხვდება თავგანწირული ბრძოლით აგრესორთან. უკრაინელი ხალხის ბრძოლა, ეს არის სამაგალითო ბრძოლა თავისუფლებისთვის, ღირებულებებისთვის, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ისინი ასევე ჩვენი თავისუფლებისთვისაც იბრძვიან. ასე რომ, უკრაინელი ხალხი იმსახურებს სრულ თანადგომას და მხარდაჭერას ამ ბრძოლაში. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო გაერთიანებულია უკრაინელი ხალხის ირგვლივ. ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ, პატივი მივაგოთ უკრაინელების თავგანწირულ ბრძოლას, რომელიც ასევე არის ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლაც, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# როგორ აფინანსებს კრემლი რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს სხვა ქვეყნებში?

## უკრაინელი ექსპერტი: „დუგინას მკვლელობა ფსბ-სა და გრუ-ს შორის დაპირისპირების შედეგია“

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთთან ომში ბოლო ხანს საგრძნობლად გააქტიურდნენ უკრაინელი პარტიზანები, უკრაინის ჯარი კი გარკვეულ წარმატებას აღწევს სამხედრო დახმარების ფარგლებში მოწოდებული ტექნიკის დახმარებით. რუსეთის დუმის წევრები პუტინს უფრო ენერგიული ქმედებებისკენ მოუწოდებენ. მიდის საუბარი მოლაპარაკებების შესაძლებლობაზე.**
**ომზე, ასევე კრემლის იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის შვილის მკვლელობაზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, საინფორმაციო ოპერაციის სპეციალისტი ალექსანდრ კოვალენკო.**

***– დარია დუგინას ჯიპის აფეთქებაზე რას იტყვით?***

– რუსეთის პროპაგანდისტები უკრაინას სდებენ ბრალს იმაში, თითქოს უკრაინის რაღაც სპეცსამსახურები არიან გარეული ამ ინციდენტში. ეს არის ყურადღების გადატანის მცდელობა იმისგან, რაც რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში ხდება. ეს კონფრონტაცია გამოიწვია რუსეთის წარუმატებელმა ომმა უკრაინაში. დუგინი ე. წ. „რუსკი მირის“ ერთ-ერთი იდეოლოგია. ეს იდეოლოგია გამოიყენებოდა უკრაინის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის დროს 2014 წელს, ასევე გამოიყენება ახლანდელი ფართომასშტაბიანი ომისას.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დუგინს კურირებას უწევს და მფარველობს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბის მთავარი სამმართველო (გრუ). დუგინი მონაწილეობდა რუსეთის ფარგლებს გარეთ გრუ-ს მიერ მოწყობილ ბევრ სპეცოპერაციაში. დუგინის გავლით ფინანსდებოდა საფრანგეთში მარინ ლე პენი და, პრაქტიკულად, ყველა რადიკალურად განწყობილი ფრანგული ელემენტი. დუგინი უშუალოდ მონაწილეობდა იტალიაში მატეო სალვინის „ჩრდილოეთ ლიგის“ დაფინანსებაში. მისმა შვილმა მამისგან ეს საქმიანობა მემკვიდრეობად მიიღო.

ამჟამად სერიოზულად გამწვავდა კონფლიქტი ფსბ-სა და გრუ-ს (თავდაცვის სამინისტრო) შორის. ამას კარგად ვხედავთ ტერორისტ იგორ გირკინის გამოხდომებში. გირკინი, რომელიც ფაქტობრივად ფსბ-ს წარმოადგენს, აგრესიულად და რეგულარულად თავს ესხმის თავდაცვის სამინისტროს.

ავტოსადგომს, სადაც დუგინას მანქანა იდგა, იცავს დაცვის ფედერალური სამსახური (ფსბ-ს ქვედანაყოფი). რუსეთი ჯიპის აფეთქებაში უკრაინას ადანაშაულებს. ისმის კითხვა – როგორ შეაღწიეს უკრაინის სპეცსამსახურებმა ფსბ-მიერ დაცულ ტერიტორიაზე? როგორ მოახერხეს მანქანაში ბომბის ჩადება?

ჩემი აზრით, სამიზნე იყო ალექსანდრ დუგინი. როცა ძალოვან სტრუქტურებს შორის ბრძოლა მწვავდება, ის გადადის არასასურველი პერსონაჟების ლიკვიდაციაში.



***– მედია იუწყება, რომ პუტინი მზადაა ზელენსკისთან მოლაპარაკებებისთვის. რისთვის დასჭირდა კრემლის დიქტატორს მოლაპარაკებები?***

– ე. წ. სპეცოპერაცია, რუსეთის სამხედრო სარდლობის გათვლით, უნდა გაგრძელებულიყო 3 დღე ან ერთი კვირა. ის გრძელდება ნახევარი წელიწადია. რუსეთის არმია, პრაქტიკულად, გამოფიტულია. მას არ ჰყოფნის ადამიანური, ტექნიკური რესურსი. რუსეთის სარდლობა მიმართავს ბელარუსს და მინსკისგან იღებს თანხმობას საწყობებიდან და შენახვის ცენტრებიდან საბრძოლო მასალების გატანაზე. რუსეთს ასევე აქვს წვდომა არტილერიის საწყობებზე. საბრძოლო მასალებისა და ტექნიკის პრობლემატიკა რუსეთისთვის უფრო მწვავდება.

უახლოეს ხანში რუსეთს შეუძლია აწარმოოს ინტენსიური შეტევითი მოქმედებები, მაგრამ ამავე დროს მისთვის არსებობს დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვის რისკი. რუსეთს არ ყოფნის რესურსი თავდაცვითი მოქმედებებისთვის. ამიტომაც, რუსეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია შექმნას პირობები კონფლიქტის გაყინვისთვის. კონფლიქტის გაყინვისთვის საჭიროა რაღაც მოლაპარაკებათა პროცესის მოჩვენებითობის შექმნა.

პუტინს მოლაპარაკებები კი არა, პაუზა სჭირდება. ის აუცილებელია იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად აღადგინონ ბრძოლისუნარიანობა.

***– დროებით ოკუპირებულ ყირიმში გახშირდა აფეთქებები რუსების სამხედრო ობიექტებზე. როგორ იმოქმედებს ეს ომზე?***

– დღეს ვერ ვიტყვით, რომ ასეთი აფეთქებები ითამაშებს გადამწყვეტ როლს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი გავლენას ახდენს ზურგის უზრუნველყოფაზე. ყირიმი ძირითადი სატრანსპორტო კვანძია. რუსეთიდან დროებით ოკუპირებულ ნახევარკუნძულზე გადმოაქვთ ტექნიკა, საბრძოლო მასალები, საწვავ-საპოხი ნივთიერებები, გადმოჰყავთ პირადი შემადგენლობა. დონბასის პლაცდარმის შემდეგ ყირიმი ამ მხრივ მეორე მნიშვნელოვანი ტერიტორიაა.

***– აფეთქებების ლუკაშენკოსაც უნდა ეშინოდეს?***

– უკრაინამ რუსეთის შემოჭრის პირველივე დღეებიდანვე დაიკავა დემოკრატიული და ტოლერანტული პოზიცია მეზობელი სახელმწიფოების საზღვრების მიმართ. მათ შორის, სამხედრო დამნაშავე, ტერორისტული რუსეთის ფედერაციის მიმართ, აგრეთვე მისი დამხმარე ბელარუსის მიმართ. ჩვენ არ ვარღვევთ მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებს. იმის იმედი გვაქვს, რომ ბელარუსი არ გამოაყენებინებს თავის ტერიტორიას პუტინის დამნაშავე რეჟიმს უკრაინის ტერიტორიაზე ცეცხლის გასახსნელად. სხვა მხრივ, ბელარუსი პარტიზანების იმედი გვაქვს.

# ირაკლი კობახიძე: „შანტაჟის ფონზე არც ერთი კონსტიტუციური ნორმა არ უნდა შეიცვალოს“



ნაციონალური მოძრაობის პირობებში რეალურად მოხდა კონსტიტუციის ამ პარტიის ინტერესებზე მორგება. ჩვენ დაგვხვდა ზუსტად ასეთი რედაქცია და დღეს პირველად, 30-წლიანი ისტორიის მანძილზე, გვაქვს კონსტიტუცია, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

კობახიძის შეფასებით, კონსტიტუციის სტაბილურობა სახელმწიფოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კონსტიტუციის ძირითად ტექსტი არ შეცვლილა, შესაბამისად „შანტაჟის ფონზე არც ერთი კონსტიტუციური ნორმა არ უნდა შეიცვალოს“.

– კონსტიტუციის მიღების დღე არის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი სახელმწიფოსთვის. 27 წლის წინ მიიღეს საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი რედაქცია, რამაც შემდეგ საფუძველი დაუდო სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესს. სამწუხაროდ, შემდეგი 20 წლის განმავლობაში უამრავი ცვლილება შევიდა კონსტიტუციაში, რომელიც ემსახურებოდა არა მის დახვეწას, არამედ იყო მიმართული სუბიექტური პოლიტიკური ინტერესების რეალიზებისკენ. არაერთგზის მოხდა კონსტიტუციის დამახინჯება, პირველ რიგში, 2004 წელს ანტიკონსტიტუციური ცვლილებებით, შემდეგ იგივე განმეორდა 2010 წელს. „ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში რეალურად მოხდა კონსტიტუციის ამ პარტიის ინტერესებზე მორგება, ჩვენ დაგვხვდა ზუსტად ასეთი რედაქცია და დღეს, პირველად, 30-წლიანი ისტორიის მანძილზე, გვაქვს კონსტიტუცია, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

კონსტიტუციის სტაბილურობა არის სახელმწიფოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კონსტიტუციის არც ერთი ძირითადი ნორმა არ შეცვლილა, ჩვენ ვუფრთხილდებით კონსტიტუციის ძირითად ტექსტს. იყო შემთხვევები, როდესაც შეიცვალა გარდამავალი დებულებები, რისი საფუძველიც იყო პოლიტიკური შანტაჟი და ასეთივე ცვლილებების განხორციელება მოგვიწევს წელსაც, პროკურორების ნაწილში, თუმცა, ეს პრაქტიკაც უნდა დასრულდეს, რადგან შანტაჟის ფონზე არც ერთი კონსტიტუციური ნორმა არ უნდა შეიცვალოს, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

# ალექსანდრე რაქვიაშვილი: „არ მომწონს, რომ ამერიკის ელჩთან ასეთი ტიპის ურთიერთობა ყალიბდება“

– არ მომწონს, რომ ამერიკის ელჩთან ასეთი ტიპის ურთიერთობა ყალიბდება – არ შეიძლება დაადანაშაულო ელჩი, რომ ის პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, როდესაც თავად ჩარიე ის პოლიტიკურ პროცესში, – ამის შესახებ „გირჩის“ წევრმა ალექსანდრე რაქვიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც 2020-2021 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის განცხადებას გამოეხმაურა.

მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობა ჰქონდა ელჩთან საკითხები პირადად გაერჩია, მაგრამ როგორც ჩანს, ამას „სპეციალურად არ აკეთებენ და უნდათ, ეს საჯარო დისკუსიის ნაწილი გახდეს“.

– ზოგადად, გაურკვეველია დისკუსია, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წამოიწყო. არ შეიძლება დაადანაშაულო ელჩი, რომ ის პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, როდესაც თავად ჩარიე ის პოლიტიკურ პროცესში. არა მხოლოდ ჩავრიეთ, ვთხოვდით, რომ მედიატორი ყოფილიყო. მივდივართ ხოლმე ელჩებთან, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლებთან, რომ მათი პოზიცია გავიგოთ. მათი პოზიცია ჩვენს შიდაპოლიტიკურ საკითხებში ხშირად გადამწყვეტი ხდება. ბუნებრივია, რომ ისინი ჩვენს პოლიტიკურ პროცესში არიან ჩართულნი და როგორ შეიძლება, ამაში დაადანაშაულო. იმაშიც არ შეიძლება არ დაეთანხმო ელჩს, რომ ჩვენს არჩევნებში უამრავი პრობლემა იყო. დასკვნებში ხომ წერია, რომ ადმინისტრაციული რესურსი იყო გამოყენებული და ა.შ. ერთადერთი, „კარუსელების“ ამბავი არაა დამტკიცებული. ამის მკაფიო მტკიცებულება არ იყო, მაგრამ ეს ტექნიკური დეტალია. არ მომწონს, რომ ამერიკის ელჩთან ასეთი ტიპის ურთიერთობა ყალიბდება. თან დარწმუნებული ვარ,



„ქართულ ოცნებას“ კელი დეგნანთან უფრო ხშირი კომუნიკაცია აქვს, ვიდრე, მაგალითად, მე და ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთან ეს საკითხები გაერჩიათ. როგორც ჩანს, ამას სპეციალურად არ აკეთებენ და უნდათ, საჯარო დისკუსიის ნაწილი გახდეს ასეთი უცნაური განცხადებები, – განაცხადა ალექსანდრე რაქვიაშვილმა.

ცნობისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, აშშ-ის საელჩო ენდობა ISFED-ს.

–ეს არის უაღრესად პატივცემული და გამოცდილი სადამკვირვებლო ორგანიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ეუთო/ოდირის და სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებები 2020-2021 წლების არჩევნებთან დაკავშირებით. ყველა მიანიშნებდა სერიოზულ დარღვევებზე, როგორიცაა დაშინება, ამომრჩევლების მოსყიდვა, საარჩევნო „კარუსელი“, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება და სხვა დარღვევები როგორც არჩევნების დღეს, ისე მანამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში. არც ერთ ამ ანგარიშში არ არის ნათქვამი, რომ არჩევნები იყო სამართლიანი. ეს დარღვევები არ არის ISFED-ის პასუხისმგებლობა, – აცხადებს კელი დეგნანი.

# გიორგი ბოტკოველი: „პოლიციამ ახალქალაქში ნაციონალური მოძრაობის წევრი არტურ მკოიანი უკანონოდ დააკავა“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი ბოტკოველი აცხადებს, რომ ახალქალაქში პარტიის წევრის, არტურ მკოიანის მიმართ „ტერორი და პოლიტიკური დევნა“ განხორციელდა.

ბოტკოველის თქმით, მისი დაკავება უკანონოდ მოხდა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან საკრებულოს წევრის, არტურ მკოიანის პოლიტიკური დევნის „მთავარი შემოქმედი“ ახალქალაქის პოლიციის უფროსი, შალვა ლომსაძეა.

ამასთან, ბოტკოველის თქმით, შსს ცდილობდა, რომ მკოიანის ოჯახში იარაღი ჩაედო.

გიორგი ბოტკოველის განცხადებითვე, არტურ მკოიანის დაკავება კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ მთავარი სტრუქტურა, რომელიც ადამიანებს უნდა იცავდეს, ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ტერორით არის დაკავებული.

– მინდა გესაუბროთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს არტურ მკოიანის ოჯახის მიმართ განხორციელებულ ტერორს და პოლიტიკურ დევნას, რისი მთავარი შემოქმედიც ახალქალაქის პოლიციის უფროსი, შალვა ლომსაძე გახლავთ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა შალვა ლომსაძის მხრიდან პოლიტიკური დევნის. საქმე ეხება 2021 წელს დაწყებულ დევნას, როდესაც არტურ მკოიანი გახლდათ ნაციონალური მოძრაობის, პარტიული სიის წევრი და მასზე იმ დროიდან დაიწყო შალვა ლომსაძის მხრიდან პოლიტიკური დევნა, მასზე ხორციელდებოდა სხვადასხვაგვარი ზეწოლა, ტერორი, შანტაჟი, რომ მას ნაციონალური მოძრაობა დაეტოვებინა. ეს არის კიდევ ერთი გამოხატულება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან, – მთავარი სტრუქტურა, რომელიც ამ ქვეყანაში ადამიანების დაცვაზე უნდა ზრუნავდეს, დაკავებულია ხელისუფლების




პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ტერორით.

მინდა მივმართო როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე მთლიანად ხელისუფლებას, ჩვენ დავიცავთ თითოეული ადამიანის ინტერესებს, რომელთა მიმართაც თქვენ შავ-ბნელი საქმიანობით ახორციელებთ პოლიტიკურ დევნას. აქ არის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლითაც უნდა დაინტერესდეს გამოძიება და ამ ყველაფერს აეხადოს ფარდა.

არტურ მკოიანი ვერ ესწრება ბრიფინგს, რადგან ის უკანონოდ არის დაკავებული. ხელისუფლება და ამ შემთხვევაში, შსს ცდილობდა, რომ მის ოჯახში ჩაედოთ იარაღი და შემდგომ მისი დაკავება მომხდარიყო შესაბამისი მუხლით, მაგრამ როდესაც ტელევიზიები ჩაერივნენ პროცესში, მათ ველარ გაბედეს ამის განხორციელება, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# 2024 წლიდან კერძო ბაღებს აკრედიტაციის გავლა მოუწევთ — რას ითხოვს ასოციაცია და რატომ ვერ მიიღეს პარლამენტიდან დღემდე

2024 წლიდან კერძო ბაღები უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ანალოგიურად აკრედიტაციას დაექვემდებარებიან. ასოციაციაში ამბობენ, რომ ლიცენზიის მოსაპოვებლად ბაღებს ამ პროცედურის გავლა დიდი ალბათობით, იგივე აკრედიტაციის ხარისხის მართვის ცენტრში მოუწევთ, რომელიც განათლების სამინისტროს ექვემდებარება. ასოციაციაში ამას ეწინააღმდეგებიან და თვლიან, რომ კერძო ბაღებმა ლიცენზიის მოსაპოვებლად აკრედიტაცია დამოუკიდებელ სსიპ-ში უნდა გაიარონ, რომელიც „მნათის“ ხელმძღვანელის თქმით, თავად ამ ბიზნესმა უნდა დააფინანსოს.




როგორც „მნათის“ ხელმძღვანელმა, გიგი სისვაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, განათლების სამინისტროში შეიქმნა სამმართველო, რომელსაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ნებართვების გაცემასა და მონიტორინგთან დაკავშირებით დებულებების შექმნა დაევალა.

– არსებობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კანონი, რომელიც დაახლოებით 2007 ან 2011 წელს შეიქმნა. ამ კანონით დარეგულირებულია ლიცენზირების თემა. ეს სფერო მიკუთვნებულია თვითმმართველ ერთეულებს, ანუ მერიას, რომ მათ აიყვანონ კონტროლზე ეს კერძო დაწესებულებები და გასცენ შესაბამისი ნებართვები.

ახლა, როდესაც ჩვენ ევროპასთან რატიფიცირების ხელშეკრულებაში ვიმყოფებით, ეს სტანდარტი ევროპაში საკმაოდ მაღალ დონეზეა: აუცილებელია, რომ ბავშვების გარემო იყოს უსაფრთხო, დაცული, ეს გაიდლაინები და ინსტრუქციები ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, მათ შორის ჯანმრთელობის, აზროვნების, ფსიქოლოგიური, უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ 2024 წლისთვის ისინი გადავლენ უკვე იმ მოდელზე, რომ ეს საქმიანობა ნებართვას დაუქვემდებარონ და შესაბამისი აკრედიტაცია გაიაროს, როგორც ეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშია. სკოლებიც და უნივერსიტეტებიც აკრედიტაციას გადიან ხარისხის მართვის ცენტრში, რომელიც განათლების სამინისტროს სსიპ-ს წარმოადგენს. ანუ, გამოდის, რომ ბაღების გატარება უნდათ ამ ცალკე სამმართველოში, რომელიც განათლების სამინისტროში შექმნეს.

ჩვენი პოზიცია არის ასეთი: შეიქმნას დამოუკიდებელი სსიპ-ი, რომელიც არ იქნება საბიუჯეტო და ის დაფინანსდება ბენეფიციარების საწევროდან. ასე არსებობს მაგალითად, ადვოკატთა ასოციაცია. ანუ, მეტი კერძო სექტორი მიეცეს ამას და არა საჯარო.

როგორც გიგი სისვაძე ამბობს, საჯარო სექტორზე დაქვემდებარება, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მარტივია და სწორედ ამით ამართლებენ განათლების სამინისტროში შექმნილი ამ სამმართველოს იდეას.

– ეს არის არასწორი მიდგომა და ამ გზით ბიზნესის განვითარება ვერ მოხდება, პირიქით – შეკუმშვას გამოიწვევს და არა თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაშვებას. ჩვენ ამ ბიზნესს თავისუფალი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა უნდა მივცეთ. თუ ისინი დამოუკიდებლობას იგრძნობენ, მათი ინტერესების დაცვა დამოუკიდებელი სსიპ-ის საშუალებით მოხდება, რომლის დაფინანსების წყარო არა ბიუჯეტი, არამედ თავისივე საწევროა, შეიქმნება კანონი ამასთან დაკავშირებით, ამ სსიპ-მა უნდა უზრუნველყოს როგორც ამისი მონიტორინგი, ასევე ამ ბაღების საქმიანობაზე ნებართვის გაცემა, რასაც აკეთებს, მაგალითად, ხარისხის მართვის ცენტრი, შესაბამისად, ამას მოჰყვება კადრების გადამზადება, აკრედიტაცია, სერთიფიკატების გაცემა პედაგოგებისთვის და ა.შ. ჩვენი პოზიცია არის ის, რომ ეს თემა ამ მიმართულებით განვითარდეს. ამაზე პარლამენტს წერილიც მივწერეთ, ვთხოვეთ დისკუსია, მაგრამ ჯერ გამოხმაურება არ გვაქვს. როგორც ჩანს, აქ მათთვის საინტერესო ლუკმა არ ჩანს.

„მნათის“ ხელმძღვანელის თქმით, ამ მიმართულებით ისინი გააქტიურებას გეგმავენ და 2024 წლისთვის, მათი პროგნოზით, ეს პრობლემა უკვე დარეგულირებული იქნება.

– ამ საკითხში ჩვენ ბიზნესომბუდსმენიც გვყავდა ჩართული და ვფიქრობ, მათთან საუბარი სწორედ ბიზნესომბუდსმენის საშუალებით უფრო სწორია. სხვაგვარად ძალიან ჭირს, – განაცხადა გიგი სისვაძემ.

# საქართველოდან ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთსა და რუსეთში განხორციელდა



2022 წლის II კვარტალში საქართველოს ტერიტორიიდან საზღვარგარეთ საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების 1 515.2 ათასი გასვლა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 4.6-ჯერ მეტია, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„საქსტატის“ ცნობით, გასვლების უდიდესი ნაწილი, 47.3 პროცენტი, 31-50 წლის მოგზაურების მიერ განხორციელდა.

– აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 406.1 ათასი შეადგინა, რაც 3.9-ჯერ მეტია 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 221.0 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 134.3 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტების უმრავლესობა, 49.4 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ. ქალების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მთლიანი ვიზიტების 46.5 პროცენტს შეადგენდა.

2022 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი (42.5 პროცენტი) განხორციელდა საყიდლების მიზნით. ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთსა და რუსეთის ფედერაციაში, შესაბამისად, 234.7 ათასი და 45.2 ათასი ვიზიტი. 2022 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 5.6 ღამე შეადგინა. განხორციელებული ვიზიტების 94.7 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. 2022 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 456.8 მილიონ ლარს გაუტოლდა. ვიზიტზე საშუალო ხარჯმა 1 124.7 ლარი შეადგინა" – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თურქეთში 80%-იანი ინფლაციაა



ინფლაცია დღეს მთელი მსოფლიოს თავის ტკივილია. ფასები რეკორდულად იზრდება ამერიკაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა სახელმწიფოებში, თუმცა ის ქვეყანა, რომლისთვისაც ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია, თურქეთია.

თურქეთში ინფლაციას კარგად იცნობენ. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანაში ინფლაციის დონე თითქმის ყოველთვის ორნიშნა იყო, 1980 წელს კი ისტორიულ მაქსიმუმს, 138.7%-ს მიაღწია.

2000-იანი წლებიდან ქვეყანაში რეფორმები გატარდა, შემოიღეს ახალი ლირა და ეროვნული ბანკი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი. ამ ყველაფერმა მეტ-ნაკლები სტაბილურობა მოიტანა და ინფლაცია ერთნიშნა მაჩვენებლამდეც შემცირდა.

თუმცა პანდემიამდელ პერიოდში ინფლაციამ კვლავ ზრდა დაიწყო, რაც პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ინვესტორების უარყოფითმა განწყობებმა გამოიწვია. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი აშშ-თურქეთს შორს დიპლომატიური ურთიერთობის დაძაბვა და სანქციები იყო. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეულმა სავაჭრო არეულობამ კი კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

მიმდინარე წლის ივლისში ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ზრდამ თითქმის 80%-ს, ორი ათწლეულის მაქსიმუმს მიაღწია – მოსახლეობას სურსათზე ფასების მკვეთრ ზრდასთან გასამკლავებლად და ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზეგანაკვეთური მუშაობა და დამატებითი სამსახურების მოძებნა უწევთ.

# რუსეთიდან მარცვლეულის ექსპორტი 12%-ით შემცირდა



მიმდინარე წლის 1-ელი ივლისიდან 21 აგვისტოს ჩათვლით, რუსეთმა ექსპორტზე 6.962.000 ტონა მარცვლეული გაიტანა, რაც 12%-ით ნაკლებია გასული სეზონის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. უფრო კონკრეტულად კი, ხორბლის გადაზიდვები 5.928.000 ტონამდე შემცირდა, ხოლო ქერი – 797.000 ტონამდე, რაც 11,6%-ს შეადგენს. ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ რუსეთის მარცვლეულის კავშირზე დაყრდნობით ავრცელებს.

მცირდება მყიდველი ქვეყნების რაოდენობაც. „ჯერჯერობით ხორბალი 24 ქვეყანას მიეწოდება, გასული სეზონის ამავე პერიოდში კი 54 იყო" – განაცხადა კავშირის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, ელენა ტიურინამ. – „ჯერ არ არის შესყიდვები ტანზანიიდან, სამხრეთ აფრიკიდან, კონგოდან, ნიგერიიდან, რომლებიც მთავარი მყიდველები იყვნენ. გასული სეზონის ამ პერიოდში ნიგერიაში 500.000 ტონაზე მეტი გაიგზავნა, ტანზანიაში 166.000 ტონა, ხოლო სამხრეთ აფრიკაში – 100 000 ტონაზე მეტი".

ტიურინას თქმით, ტრადიციული პარტნიორები მთავარ მყიდველებად რჩებიან. „პირველ ადგილზეა ეგვიპტე, სადაც სეზონის დასაწყისიდან 1,18 მილიონ ტონაზე მეტი ხორბალი უკვე გაიგზავნა, რაც თითქმის 30%-ით მეტია, ვიდრე ერთი წლის წინ. მეორე ადგილზეა თურქეთი 1 მილიონ 100 ათასზე მეტით, მესამე ადგილზეა ირანი, სადაც 980 ათასი ტონა, ანუ 24%-ით ნაკლები გაიგზავნა. ამასთან, საუდის არაბეთში 540 ათას ტონამდე გაიზარდა, რაც სამჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით".

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ამ სეზონზე საკმაოდ აქტიურია გადაზიდვები ალჟირში, სუდანსა და იორდანიაში – უკვე გადაზიდულია 65 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული.

ტიურინას თქმით, მთავარ არხად რჩება ოფშორული გადაზიდვა, რომელიც გასულ სეზონთან შედარებით 8%-ით გაიზარდა.

# საქართველოში კენკრა 40-50%-ით გაძვირდა

EastFruit-ის ანალიტიკოსებმა მაყვლისა და ჟოლოს საბითუმო ფასები შეისწავლეს. 19 აგვისტოს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ეს ორი პროდუქტი წლიურად ფასების ზრდის ტემპის მიხედვით მეორე და მესამე ადგილებზეა. სიის სათავეში წითელი ტკბილი წიწაკა რჩება.

მაყვლის საშუალო საბითუმო ფასი ერთ კილოგრამზე არის 1,40 დოლარი, რაც 50%-ით მეტია 2021 წლის ამავე პერიოდის ღირებულებასთან შედარებით. რაც შეეხება ჟოლოს, მისი ფასი კილოგრამზე 3,60 დოლარს შეადგენს, რაც 40%-ით აღემატება შარშანდელ ფასს. მკვეთრი გაძვირების ძირითადი მიზეზები წარმოებისა და მოსავლის ხარჯების ზრდაა.



მაყვლის სეზონი აგვისტოში მთავრდება. ფასები შეიძლება ოდნავ გაიზარდოს, როდესაც მარაგები იწურება. რაც შეეხება ჟოლოს, სექტემბერში მწარმოებლები მეორე მოსავალს აიღებენ. ფერმერები იმედოვნებენ, რომ მაღალი ფასები შენარჩუნდება, რადგან გვალვამ მოსავლიანობაზე უარყოფითად იმოქმედა. ცუდი ხარისხი კი, პირდაპირ აისახება პროდუქტის ფასზე. ხარისხიანი ჟოლოს ღირებულება კი, დიდი ალბათობით, მაღალი დარჩება.

# საქართველო საკვები და სასმელი პროდუქტების თითქმის მესამედს რუსეთში ყიდულობს

საქართველო საკვები და სასმელი პროდუქტების თითქმის მესამედს, დაახლოებით 31%-ს რუსეთში ყიდულობს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-ივლისში ქვეყანამ ჩრდილოეთში 238,856 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქტი შეიძინა, მთლიანად კი წელს 7 თვეში საკვების და სასმელის იმპორტმა 772,700 მლნ დოლარი შეადგინა.



მეორე ადგილზე, ტრადიციულად არის თურქეთი, საიდანაც წელს 100,451 მლნ დოლარის საკვების და სასმელის იმპორტი განხორციელდა, სამეულშია ბრაზილია – 52,631 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქტით.

**ტოპ-10 ქვეყანა, სადაც საქართველომ 2022 წლის იანვარ-ივლისში საკვები და სასმელი პროდუქტი შეიძინა:**

რუსეთი – 238,856 მლნ დოლარი; თურქეთი – 100,451 მლნ დოლარი; ბრაზილია – 52,631 მლნ დოლარი; უკრაინა – 42,904 მლნ დოლარი; პოლონეთი – 27,341 მლნ დოლარი; გერმანია – 26,012 მლნ დოლარი; აზერბაიჯანი – 21,090 მლნ დოლარი; ნიდერლანდები – 18,146 მლნ დოლარი; საფრანგეთი – 17,896 მლნ დოლარი; ჩინეთი – 16,626 მლნ დოლარი

აღსანიშნავია, რომ წელს საკვები და სასმელი პროდუქციის იმპორტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც ძირითადად მსოფლიოში ფასების ზრდით არის განპირობებული. თუ 2021 წლის 7 თვეში საქართველომ მსოფლიოში 553,117 მლნ დოლარის საკვები და სასმელი იყიდა, წელს ეს მაჩვენებელი 772,700 მლნ დოლარამდე გაიზარდა. პანდემიამდელ 2019 წელს კი იმპორტმა 530,813 მლნ დოლარი შეადგინა, 2022 წელს კი 539,663 მლნ დოლარი.

# „ფორმულას“ ჟურნალისტს პირდაპირ ეთერში თავს დაესხნენ

ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფს პირდაპირი ჩართვის დროს თავს დაესხნენ. კადრებში ჩანს, რომ უცნობმა პირმა ჟურნალისტ რატი წვერავას მიკროფონი წაართვა. „ფორმულა“ ამბობს, რომ ის დანით იმუქრებოდა და ცდილობდა ოპერატორს თავს დასხმოდა.



„მე ვარ გარეთ ერთადერთი კანონიერი ქურდი, ბადრი ჩელენჯს გიცხადებ, მოდი შევხვდეთ, სადაც გინდა, როცა გინდა“ – თქვა თავდამსხმელმა.

# რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული აშშ-ის მოქალაქე თავისუფალია

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული აშშ-ის მოქალაქე ფრენკ იანეზი თავისუფალია და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლების მოთხოვნით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად იყენებდა როგორც „ცხელი ხაზის“ მექანიზმს, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ხელთ არსებულ სხვა ინსტრუმენტებს.




ინფორმაცია მუდმივ რეჟიმში მიეწოდებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს აქტიურ მუშაობას უკანონოდ დაკავებული პირების გასათავისუფლებლად როგორც ოკუპირებული ცხინვალის, ისე ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას.

# რუსეთში ავარიას ქართველი ახალგაზრდა ემსხვერპლა

რუსეთში, ქალაქ ულიანოვსკთან მომხდარ უმძიმეს ავარიას ქართველი ახალგაზრდა ემსხვერპლა.



„გურია ნიუსის“ წყაროს ინფორმაციით, გარდაცვლილი სამეგრელოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტიდან იყო.

– საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ადგილზე დაღუპულა. სავარაუდოდ, სამშობლოში დღეს მოასვენებენ, – ამბობს წყარო.

შეგახსენებთ, ავტოსაგზაო შემთხვევაში, რომელიც 21 აგვისტოს მოხდა, 5 სატრანსპორტო საშუალება მონაწილეობდა, 2 სატვირთო, სამარშუტო ტაქსი და 2 მსუბუქი ავტომობილი.

მომხდარის შედეგად დაიღუპა, სულ მცირე, 16 ადამიანი.

# ხანძარმა, სავარაუდოდ, კვირიკეს სამონასტრო კომპლექსი გაანადგურა



გუშინ, საღამოს, ბორჯომის ტყეში ხანძრის ქრობის სამუშაოები უამინდობის გამო გაჩერდა.

მაღალი ტემპერატურისა და ძლიერი ქარის გამო მუშაობა ავიაციამაც შეაჩერა.

ხეობაში მდებარეობს კვირიკეს სახელობის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც, სავარაუდოდ, უკვე განადგურებულია.

# ხელვაჩაურში 17 წლის ბიჭი მდინარეში დაიხრჩო

ხელვაჩაურში, სოფელ თხილნარში 17 წლის ბიჭი მდინარეში დაიხრჩო.

მერიის წარმომადგენლის, ომარ დუმბაძის განცხადებით, უბედური შემთხვევა გუშინ მოხდა.

მისივე თქმით, ბიჭის ცხედარი მალევე ამოიყვანეს და საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს.

# რუსთავში ავარიისას ოთხი ადამიანი დაშავდა




რუსთავში ერთმანეთს მსუბუქი მანქანა და მიკროავტობუსი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა. ისინი კლინიკაში გადაიყვანეს.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# საგანგებო სიტუაციების სამსახური მოსახლეობას მიმართავს

ქვეყნის ტერიტორიაზე ტყის ხანძრების პრევენციისა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს, ასევე, არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ, – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.




„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 28 აგვისტომდე საქართველოში ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი შენარჩუნდება. გარდა ამისა, ჰაერის მაღალ ტემპერატურასთან ერთად, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთში, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, გორი-სურამის მონაკვეთზე და მთიანი რეგიონების ზოგიერთ რაიონში ძლიერი ქარიცაა მოსალოდნელი, რაც კიდევ უფრო ზრდის ტყის ხანძრების გაჩენის რისკს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ქვეყნის ტერიტორიაზე ტყის ხანძრების პრევენციისა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს, ასევე, არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გაითვალისწინეთ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად, ნუ დაანაგვიანებთ გარემოს და ნუ შეუწყობთ ხელს ტყის ხანძრების გაჩენას.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს“ – ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებაში.

# სოსო გოგაშვილის ცოლი შს მინისტრს მიმართავს

სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ცოლი, თეა მარტყოფიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართავს. სოსო გოგაშვილის ცოლის განცხადებით, ვახტანგ გომელაურმა იცოდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერები უკვე განადგურებული იყო და სწორედ ამიტომ მოუწოდებდა ის გოგაშვილს საშხაპეში მომხდარი ფაქტის შესახებ მტკიცებულებებით ესაუბრა.



– ვახუშტიმ განცხადება რომ გააკეთა, რითი დაამტკიცებს გოგაშვილი ამ ყველაფერსო, მან უკვე წინასწარ იცოდა, რომ კამერების ჩანაწერები წაშლილი ჰქონდათ.

თქვენი პასუხიდან საზოგადოება მიხვდება, რომ ნამდვილად გაყვანილი გყავდათ სოსო გოგაშვილი და ჩვენც არასამუშაო დღეს შესულები ვიყავით ჩემს მეუღლესთან.

ამ ყველაფრით ისინი თავიანთ მუქარებსა და დანაშაულებებს ადასტურებენ. მინდა წმინდა ვახუშტის, ვახტანგ გომელაურს მივმართო, გრიგოლ ლილუაშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს მათი მუქარების შემდეგ, თუ ჩემს მეუღლეს ან ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრს რამე დაემართება, პასუხისმგებლობას ვაკისრებთ მათ, – განაცხადა მარტყოფიშვილმა.

გოგაშვილმა და მისმა ადვოკატებმა 11 აგვისტოს განაცხადეს, რომ სუს-ის ყოფილ მაღალჩინოსანს საабაზანო ოთახში, შს მინისტრთან მობილური ტელეფონით საუბრების დროს დაემუქრნენ. სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა და იმავე დღეს მოითხოვა №12 დაწესებულების შესაბამის პერიმეტრზე არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების დაარქივება.

ომბუდსმენს პენიტენციურიდან აცნობეს, რომ მითითებულ თარიღებში №12 პენიტენციურ დაწესებულებაში მწყობრიდან იყო გამოსული ჩამწერი მოწყობილობები, რის გამოც, სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნა ვიდეოჩანაწერების დაარქივებასთან დაკავშირებით ვერ შესრულდა.

# მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 24 აგვისტოს გადაიდო. დღევანდელ სხდომაზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციური დაწესებულებიდან ცნობა და კლინიკა „ვივამედიდან“ წარდგენილი ცნობა წაიკითხა.



კლინიკის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ პაციენტ მიხეილ სააკაშვილს აღენიშნება ძლიერი სისუსტე, უჭირს გადაადგილება და, ძირითადად, მწოლიარეა, რის გამოც, მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ, მის პროცესზე გამოცხადებას.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.




# მეჯვრისხევში საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი გამოიძახეს.

ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია.

„უკვე ლიკვიდირებულია ხანძარი, საბედნიეროდ არავინ დაშავებულა“ – აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

# ექვსთვიანი ომის განმავლობაში რუსებმა 12.142 ერთეული აღჭურვილობა დაკარგეს

უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ექვსთვიანი ომის განმავლობაში, რუსებმა 12.142 ერთეული აღჭურვილობა დაკარგეს, რომლის საერთო ღირებულება, რაკეტების გამოკლებით, 16,56 მილიარდ დოლარს შეადგენს. დამპყრობლების ყველაზე დიდი დანაკარგი იყო კრეისერი „მოსკვა“. ამის შესახებ ინფორმაციას Forbes Ukraine აქვეყნებს.

გამოცემის ინფორმაციით, დამპყრობლების ყველაზე დიდი დანაკარგი იყო შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, 750 მილიონი დოლარის ღირებულების სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში ჩაიძირა უკრაინული ნეპტუნის რაკეტებით. რუსებისთვის მეორე ძვირადღირებული დანაკარგი იყო 86 მილიონი დოლარის ღირებულების „ილ-76“ – დიდი სადესანტო თვითმფრინავი, რომელიც საჰაერო თავდაცვის ძალებმა თებერვლის ბოლოს ჩამოაგდეს. მესამე ყველაზე ძვირად შეფასებული დიდი სადესანტო გემი „სარატოვი“ იყო, რომლის ღირებულება 75 მილიონი დოლარით განისაზღვრება.

„მოსკოვის“ გარდა, კუნძულ სერპენტებსა და მიმდებარე წყლებში, უკრაინამ გაანადგურა 165 მილიონი დოლარის ღირებულების რუსული ტექნიკა და გემები. კერძოდ, 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების რვა საზენიტო სისტემა Tor, Pantsir და Strela.

ექვს თვეში უკრაინულმა ძალებმა ჩაძირეს 82 მილიონი დოლარის ღირებულების 15 რუსული ხომალდი.

რაც შეეხება რუსულ ავიაცია, მთლიანობაში, გამოცემის ინფორმაციით, რუსეთმა დაკარგა 234 თვითმფრინავი, რაც 5,3 მილიარდი დოლარის ღირებულების იყო.

# ბორის ჯონსონი კიევში ჩავიდა



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოულოდნელად უკრაინაში ჩავიდა.

„დაუნინგ სტრიტის“ ცნობით, ბორის ჯონსონი კიევში დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ფარგლებში იმყოფება.

„უკრაინას შეუძლია და მოიგებს ამ ომს“, – განაცხადა ჯონსონმა.

– რაც ხდება უკრაინაში, ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ ვარ დღეს კიევში, – წერს ჯონსონი ტვიტერში.

# ჯო ბაიდენი: „უკრაინას დაახლოებით 2.98 მილიარდი დოლარის იარაღი და აღჭურვილობა გადაეცემა“



აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები მზადაა უკრაინას ახალი, 2.98 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დახმარება გამოუყოს.

– ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, მხარი დაუჭიროს უკრაინელ ხალხს, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად. ამ ვალდებულების ფარგლებში, სიამაყით ვაცხადებ უსაფრთხოების დახმარების დღემდე ყველაზე დიდი ტრანშის შესახებ: უკრაინას, უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის ფარგლებში, დაახლოებით 2.98 მილიარდი დოლარის იარაღი და აღჭურვილობა გადაეცემა. ეს საშუალებას მისცემს უკრაინას, შეიძინოს საჰაერო თავდაცვის სისტემები, საარტილერიო სისტემები და საბრძოლო მასალები, უპილოტო საჰაერო თავდაცვის სისტემები და რადარები, რათა შეძლოს საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში, – ნათქვამია ბაიდენის განცხადებაში, რომელსაც თეთრი სახლი აქვეყნებს.

# რუსებმა მირგოროდი X-22 რაკეტებით დაბომბეს

რუსულმა ძალებმა პოლტავის ოლქის ქალაქ მირგოროდში ჰაერი-ჰაერი კლასის X-22 რაკეტებით სამხედრო ინფრასტრუქტურა დაბომბეს, – ამის შესახებ უკრაინის ტაქტიკური ავიაციის 831-ე ბრიგადა „ფეისბუქზე“ იუწყება.

ბრიგადაში აცხადებენ, რომ ხანძარი გრძელდება და დაზიანებულ ობიექტებზე სასწრაფო დახმარების მანქანებია მობილიზებული.

ქალაქზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დიმიტრი ლუნინმაც გაავრცელა.

მოგვიანებით მან განაცხადა, რომ თავდასხმის შედეგად არავინ დაღუპულა ან დაშავებულა.

# რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ 1.000-მდე ბავშვი დაიღუპა ან დაშავდა

რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან 972 ბავშვი დაიღუპა ან დაშავდა, – ინფორმაციას გაერო-ს ბავშვთა ფონდი ავრცელებს.

„ეს მხოლოდ ის ციფრებია, რომლის გადამოწმებაც გაერო-მ შეძლო. გვჯერა, რომ ჭეშმარიტი რიცხვი გაცილებით მეტია“ – აღნიშნულია გაერო-ს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ქეთრინ რასელის განცხადებაში.

მისი თქმით, მიმდინარე ომმა უკრაინის საგანმანათლებლო სისტემა გაანადგურა.

– სასწავლო წლის დაწყება სულ რაღაც ერთ კვირაში ცხადად გვახსენებს, თუ რამდენი დაკარგეს უკრაინაში ბავშვებმა. უკრაინის საგანმანათლებლო სისტემა განადგურდა საომარი მოქმედებების ესკალაციის გამო მთელი ქვეყნის მასშტაბით. სკოლები სამიზნეებს წარმოადგენს, რის შედეგადაც ოჯახები თავიანთი შვილების სკოლაში გაგზავნას უსაფრთხოდ ვერ თვლიან. ჩვენი ვარაუდით, 10 სკოლიდან 1 დაზიანებული ან დანგრეულია, – აღნიშნა ქეთრინ რასელმა.

# ადამ კინზინგერი: „საქართველოს ვურჩევ, რუსეთთან ფლირტი შეწყვიტოს“



რუსეთის, როგორც რეგიონალური ძალის, დღეები იწურება. საქართველოს მტკიცედ ვურჩევ, სერიოზულად მოეკიდოს ამას და რუსეთთან ფლირტი შეწყვიტოს, – ამის შესახებ ამერიკელი კონგრესმენი ადამ კინზინგერი „ტვიტერში“ წერს.

კონგრესმენი ეხმიანება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, თბილისში დააფიქსირეს ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის მრჩეველი და მოკავშირე და ქართველი მომღერლის ქეთა თოფურიას ქმარი, ლევ დენგოვი, რომელმაც ადრე დაარღვია საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

# რუსული ძალები ხარკოვის ოლქს ბომბავენ

რუსეთის ფედერაციის ჯარები ხარკოვის ოლქის ტერიტორიას 24 აგვისტოს დილიდან ბომბავენ, კერძოდ, დაბომბეს ხარკოვის ოლქის ქალაქი დერგაჩი და მალა დანილივკას დასახლება, – ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, არიან დაშავებულები.

მალა დანილივკას ხელმძღვანელის ინფორმაციით, მტერი კასეტურ ჭურვებს ისვრის. თავდასხმის შედეგად დაზიანდა ინფრასტრუქტურა და კერძო სახლები. არიან დაშავებულები.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსულმა ძალებმა პოლტავის ოლქის ქალაქ მირგოროდში, ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე სარაკეტო შეტევა განახორციელეს.

# ოლექსი რეზნიკოვი: „ომის ყველაზე უფრო ცუდი სცენარი უკან მოვიტოვეთ, ბრძოლის ველის სტაბილიზაციის ეტაპზე ვართ“



უკრაინის თავდაცვის მინისტრი, ოლექსი რეზნიკოვი აცხადებს, რომ უკრაინამ ომის ყველაზე ცუდ სცენარი უკან მოიტოვა და ბრძოლის ველისა და ხაზების სტაბილიზაციის ეტაპზეა.

– ქვედანაყოფების მცირე გადაადგილებით ბრძოლის ველისა და ხაზების სტაბილიზაციის ეტაპზე ვართ და შევქმენით კარგი შემაკავებელი გარემოებები, – განაცხადა რეზნიკოვმა.

მისი თქმით, მიაჩნია, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი საფრთხე საერთაშორისო საზოგადოებაში „დაღლილობის სინდრომია“.

კითხვაზე, ეშინია თუ არა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ომით დაიღალოს, რეზნიკოვმა უპასუხა: „მე ამას დაღლილობის სინდრომს ვეძახი და ჩემთვის ეს ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ საფრთხის წინააღმდეგ. უნდა ვისაუბროთ, ვთხოვოთ ადამიანებს, არ დაიღალონ, რადგან ეს ჩვენთვის ძალიან, ძალიან სახიფათოა“ – განაცხადა რეზნიკოვმა.

# სერგეი შოიგუ: „რუსეთის არმია უკრაინაში შეტევის ტემპს შეგნებულად ანელებს“

რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი შოიგუს მტკიცებით, რუსეთი უკრაინაში მიმდინარე ე.წ. „სპეცოპერაციის“ დროს შეტევის ტემპს შეგნებულად ანელებს იმის გამო, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი თავიდან აიცილოს.

– სპეციალური ოპერაციის დროს ჩვენ მკაცრად ვიცავთ ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. დარტყმები უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო ინფრასტრუქტურაზე – სამეთაურო პუნქტებზე, აეროდრომებზე, საწყობებზე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ობიექტებზე ხორციელდება მაღალი სიზუსტის იარაღით. ამავდროულად, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან აცილება მოხდეს. რა თქმა უნდა, ეს ანელებს შეტევის ტემპს, მაგრამ ჩვენ ამას შეგნებულად ვაკეთებთ, – განაცხადა შოიგუმ.

BBC-ი წერს, რომ უკრაინის ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსი სამხედროების მოქმედებების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა მუდმივად ილუპება და ქალაქების სამოქალაქო ინფრასტრუქტურა ნადგურდება.

## სპორტი

# რონალდუს ძირითადი გარანტირებული არ აქვს



მანჩესტერ იუნაიტედმა ზედიზედ 2 მარცხის შემდეგ ლამაზ სტილში ლივერპული 2:1 დაამარცხა და ხასიათი ოდნავ გამოიკეთა. მანჩესტერელთა თავკაცმა, ერიკ ტენ ჰაგმა პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი, კრიშტიანუ რონალდუ უმნიშვნელოვანეს მატჩში სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მოედანზე მხოლოდ ბოლო 8 წუთი დაუთმო.

ეს ნიშნავს, რომ პორტუგალიელს ძირითადში ადგილი გარანტირებული არ აქვს. რონალდუს ოჯახური მიზეზების გამო პრე-სეზონში მონაწილეობა არ მიუღია, ამ ხნის განმავლობაში მისი აგენტი ჟორჟე მენდესი ცდილობდა, მისი კლიენტით ლიგაზე მოასპარეზე კლუბები დაეინტერესებინა, თუმცა ეს არ გამოვიდა.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ტენ ჰაგს გარკვეული წარმოდგენა უკვე აქვს მის სასტარტო შემტევ ხაზზე. გავრცელებული ცნობებით, ტენ ჰაგმა რონალდუს განუცხადა, რომ ან მუდმივ როტაციაში ყოფნას დათანხმდება, ან სხვა კლუბში გადასვლაში ხელს არ შეუშლის. ტენ ჰაგს ასევე კვლავ სურს ახალი შემტევის შეძენა თუ რონალდუ წავა, ალბათ ორი შემტევისაც კი.

ამჟამად, იუნაიტედი ინტერესს აიაქსის 22 წლის ვინგერის – ენტონისა და პსჟ-ს შემტევის, გაკპოს მიმართ იჩენს.

# ნანა ძაგნიძე მსოფლიო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს



ფიდემ მსოფლიო სერიის ახალი კალენდარი გამოაქვეყნა და გაირკვა 16 მოჭადრაკე, რომელიც 2023-24 წლების ქალთა შორის საჩემპიონო რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.

16 მოჭადრაკე ოთხ სერიას ითამაშებს. აქედან სამი სავალდებულოა, რათა კონკრეტულმა მათგანმა საჭირო ქულები დააგროვოს.

პირველი სერია 17-30 სექტემბერს ყაზახეთის ქალაქ ნურ-სულთანში გაიმართება და ქართველი ნანა ძაგნიძე სწორედ ამ ტურს გამოტოვებს. სამაგიეროდ, ჩვენებური გერმანულ მიუნხენში (1-14 თებერვალი), ინდოეთში (მარტი, თარიღები და ქალაქი უცნობია) და პოლონურ ბიდგოშში (მაისში, თარიღი აქაც უცნობია) ითამაშებს.

თითოეული სერიის საპრიზო ფონდი 80.000 დოლარია. ამდენივე თანხას სერიების ბოლოს რვა საუკეთესოც გაინაწილებს, ხოლო ჯამში ორი საუკეთესო ჯერ ერთმანეთს ეთამაშება, მათ შორის გამარჯვებული კი, მსოფლიოს ჩემპიონს, ჩინელ იუ ვენიუნს ტიტულისთვის შეერკინება.

ნანა ძაგნიძესთან ერთად, მომავალი საჩემპიონო ბრძოლაში ჩაებმებიან: ალექსანდრა გორიაჩკინა, კატერინა ლახნო, ანა და მარია მუზიჩუკები, ჟონგუი ტანი, ალექსანდრა კოსტენიუკი, ჰარიკა დრონოვალი, პოლინა შუვალოვა, ალინა კაშლინსკაია, ჟანსაია აბდუმალიკი, ელიზაბეტ პაეცი, იინერ ჟუ, ბიბისარა ასუბაიევა, დინარა ვაგნერი და ჰუმპი კონერუ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**23 აგვისტო**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-დინამო (კ) | 3:0 |
| პლზენი-ყარაბახი | 2:1 |
| ცრვენა ზვეზდა-მაქაბი (ჰ) | 2:2 |

**უეფას კონფერენს ლიგა**

| | |
|---|---|
| აპოელი-დიურგარდენი | 3:2 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| შახტარი-მეტალისტი | 0:0 |
| ზორია-ვორსკლა | 3:1 |
| ჩერნომორეცი-ვერესი | 0:1 |
| კოლოსი-კრივბასი | 1:0 |

# ავტომობილმა სიჩქარეს დასასვენებლად მყოფი მძღოლის გარეშე გადააჭარბა



ბრიტანეთის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსის მკვიდრმა ავტომობილით, რომელიც აეროპორტის ავტოსადგომზე ჰყავდა დატოვებული, სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმის ქვითარი მიიღო. მანქანა იქ მან დასასვენებლად გამგზავრების წინ დატოვა.

გერი ტორნბერნმა და კლერ ბრდსმა თავიანთი ავტომობილი გოლფ ჯტი მანჩესტერის აეროპორტის თანამშრომლებს ჩააბარეს, თავად კი 13 დღით დასასვენებლად ესპანეთის ქალაქ მურსიაში გაფრინდნენ. წყვილი გაოგნებული დარჩა, როდესაც შეტყობინება მიიღეს იმის თაობაზე, რომ მათმა მანქანამ ავტოსაგზაო მოძრაობის წესები დაარღვია. ეს კი იმ დროს მოხდა, როდესაც ისინი სულ სხვა ქვეყანაში, სახლიდან 2,5 ათასი კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ.

დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მათმა ავტომობილმა სიჩქარეს გადააჭარბა, როდესაც საათში 88 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა ზონაში, სადაც შეზღუდვა საათში 48 კილომეტრამდე სიჩქარეზე იყო დაწესებული. წერილისთვის თანდართულ ფოტოსურათზე ასახული იყო თეთრი ფერის გოლფ ჯტი ისეთივე სარეგისტრაციო ნომრებით, როგორიც მათ მანქანას ეკეთა. ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევა მათი დასასვენებლად გამგზავრებიდან ორი დღის შემდეგ იყო დაფიქსირებული.

აეროპორტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათმა თანამშრომლებმა წყვილის ავტომობილი სპეციალურ ავტოსადგომზე გადაიყვანეს, თუმცა იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მანქანა ადგილზე იმყოფებოდა წყვილის დასასვენებლად ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში და ამიტომ მის ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის გამოყენებას ვერ შეძლებდნენ. აეროპორტის მონაცემებით, სურათზე სხვა მანქანაა აღბეჭდილი.

წყვილმა პოლიციას მიმართა და განმარტა, რომ ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევის მომენტისთვის ისინი ესპანეთში იმყოფებოდნენ. წყვილი მანჩესტერის პოლიციიდან პასუხს ელოდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გორი ყველაფერს მასპინძლობს



საქართველოს ეროვნული ლიგის 23-ე ტური 3 დღეს არის გაწერილი. საინტერესოა ისიც, რომ 5-დან 2 მატჩი გორის თენგიზ ბურჯანაძეზე გაიმართება.

**25 აგვისტო**

**დილა-სიონი**

**21:00. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

დილა საკუთარ მოედანზე ბოლნისის სიონს დაუხვდება. მასპინძლებს ზედიზედ 3 მატჩი აქვთ წაგებული და მე-3 ადგილოსან წყალტუბოს სამგურალს უკვე 4 ქულით ჩამორჩებიან. ეგ კი არა, უკვე მდევრებიც მოუმრავლდა და ახლა საბურთალოსთან ერთად, ქუთაისის ტორპედოც კვალში უდგას.

კარგი დროება არც სიონს უდგას. გუნდი ფლეი აუტის ზონაშია და ქულები სჭირდება, მაგრამ გორში ამ ამოცანის შესრულება იოლი ნამდვილად არ არის.

**26 აგვისტო**

**საბურთალო-დინამო (თბ)**

**20:00. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

კიდევ ერთი მატჩი, რომელსაც გორი უმასპინძლებს, თბილისური დერბია. მასპინძლად საბურთალოელები ითვლებიან. ლაშა ნოზაძის გუნდს წაგება არ აწყობს, რადგან არა მარტო საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ჩამოშორდებიან, არამედ მდევრებსაც მისცემენ გადასწრების საშუალებას.

დინამოს კი, თუ ჩემპიონობა უნდა, ქულები არ უნდა დაკარგოს, მაგრამ 9-ქულიანი ჰანდიკაპის დაძლევა მაინც არ არის მარტივი.

**27 აგვისტო**

**სამგურალი-გაგრა**

**17:30. წყალტუბო. 26 მაისი**

სამგურალი ევროტურნირებისთვის იბრძვის, გაგრა – ელიტაში დასარჩენად. აქედან გამომდინარე, ქულები ორივე გუნდს სჭირდება. წყალტუბოში საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. მით უფრო, რომ ბოლო ტურებში გაგრელებმა ქულები აკრიფეს, ხოლო მასპინძლებს 2 ტურია არ მოუგიათ.

**ლოკომოტივი-დინამო (ბთ)**

**19:00. საგურამო. ლოკო**

ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერი და ლიდერი ერთმანეთთან საგურამოში ითამაშებენ. ლოკომოტივის საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია – გუნდს 22 ტურში მხოლოდ 3 ქულა აქვს და...

ცხადია, ზღვისპირელების გეგმაში ასეთ მატჩებში ქულების დაკარგვა არ შედის და ფავორიტებიც არიან.

**თელავი-ტორპედო**

**21:00. თელავი. კავკასიონი არენა**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს თელავში – ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდების ჯახი. ელიტაში დარჩენა ჯერ არც ერთს გარანტირებული არ აქვს, ხოლო ტორპედომ ზედიზედ 3 მოგებით ცალი თვალით ევროტურნირებსაც გახედა. ასე რომ, რიონისპირელებს 2 ამოცანა აქვთ – დარჩენაც შეუძლიათ და ევროპაში თამაშიც.

თელავი უფრო დასარჩენად იბრძოლებს. საამისოდ, ქულები სჭირდებათ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 22 | 16 | 5 | 1 | 59-16 | 53 |
| 2.დინამო (თბ) | 22 | 13 | 5 | 4 | 45-21 | 44 |
| 3.სამგურალი | 22 | 10 | 8 | 4 | 34-20 | 38 |
| 4.დილა | 22 | 10 | 4 | 8 | 24-22 | 34 |
| 5.საბურთალო | 22 | 8 | 6 | 8 | 31-29 | 30 |
| 6.ტორპედო | 22 | 9 | 3 | 10 | 28-37 | 30 |
| 7.თელავი | 22 | 6 | 9 | 7 | 23-19 | 27 |
| 8.გაგრა | 22 | 6 | 5 | 11 | 25-39 | 23 |
| 9.სიონი | 22 | 5 | 7 | 10 | 23-39 | 22 |
| 10.ლოკომოტივი | 22 | 1 | 0 | 21 | 17-67 | 3 |

# კვარაცხელიას ბრიტანელებიც მისტირიან

ნაპოლის თითქმის საუკუნოვან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 96-წლიან ისტორიაში, ხვიჩა კვარაცხელიასნაირი არავინ არის.

ჩვენებური გახლავთ პირველი ახალწვეული, რომელმაც სერია ა-ში, „აძურის“ შემადგენლობაში, საწყის 2 შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა. თუ დავამატებთ, რომ ქართველი მხოლოდ 21 წლისაა, აღმოჩნდება, რომ ყველა, ვისაც მანამდე ასეთი შედეგი დაუფიქსირებია, მასზე უფროსები იყვნენ.

გარდა ამისა, ეს მატჩები კვარაცხელიას ნათლობა იყო დასავლურ ფეხბურთში. მანამდე მას მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში უთამაშია.

მოკლედ, ნაპოლის ახალ ვარსკვლავს ისტორიული შედარებების სერია ⍳-ს მასშტაბითაც არ ეშინია.



კვარაცხელიას საოცარ თამაშზე წერა უკვე ბრიტანელებმაც დაიწყეს და აღნიშნავენ, რომ ინგლისურმა პრემიერლიგამ უდიდესი ვარსკვლავი დაკარგა.

ვინც კვარაცხელიას სატრანსფერო საგას თვალს ადევნებდით, იოლად გაიხსენებთ, რომ ქართველი ფეხბურთელის გადაბირება ინგლისურ ლიდსს უნდოდა და სწორედ ამას მისტირიან ბრიტანელები.

– ევროპაში სეზონმა სტარტი სულ რამდენიმე კვირაა აიღო, მაგრამ ახალი ვარსკვლავები უკვე გამოჩნდნენ. ინგლისში თავის გამოჩენა ვილიამ სალიბამ და ბრენდენ აარონსონმა უკვე მოახერხეს, მაგრამ სეზონის ყველაზე მაგარი სტარტი მაინც სხვაგან უნდა ვეძებოთ. საუბარი გვაქვს იტალიაზე, სადაც ხვიჩა კვარაცხელია საოცარი სტარტით ტკბება.

ნაადრევი დასკვნების გამოტანა არ გვიყვარს, მაგრამ ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ კვარაცხელია ძალიან კარგია. ფეხბურთელს სერია ა-ში მხოლოდ 138 წუთი აქვს ჩატარებული და უკვე 3 გოლი აქვს გატანილი. გარდა ამისა, საგოლე პასის გაკეთებაც მოასწრო.

ხვიჩა მცველებისთვის აბსოლუტური კოშმარია – საოცრად მოძრაობას ბურთთან ერთად და შეტევას არასდროს ერიდება. ამ დროისთვის თამაშში საშუალოდ 4.5 დარტყმა აქვს, საიდანაც 2 საჯარიმოს გარე სივრციდანაა.

ცხადია, ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ უკვე გასაგებია, რატომ უწოდეს ჯერ კიდევ მოსკოვის ლოკომოტივში თამაშისას „გენიოსი“. კვარაცხელია ის ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ ლიგაში მაგრად ითამაშებდა და სწორედ ამ ფონზე დანანებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის პრემიერლიგაში ვერ მოხვდა.

არადა, ამის დიდი შანსი იყო. შემტევი ნახევარმცველი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ლიდსთან, მაგრამ ზაფხულში საქმეში ნაპოლი ჩაერია და დასავლეთ იორკშირში ტრანსფერიც წარსულს ჩაბარდა.

კვარაცხელიას იტალიური სტარტის შემხედვარე, რთული წარმოსადგენი არაა, პრემიერლიგაში რა ამბებს დაატრიალებდა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიდსმა საოცარი შანსი გაანიავა, რათა ტალანტი მიეღო. ინგლისურ კლუბში ალბათ ყოველთვის ინანებენ იმ ფეხბურთელის ხელიდან გაშვებას, რომელიც ყველა გათვლით უმაღლესი მწვერვალისკენ მიდის.

ჩვენი მხრივ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია 2 ტურის შემდეგ 3 გოლით სერია ა-ს ბომბარდირებში პირველ პოზიციაზეა. სატურნირო ცხრილში პირველზეა ნაპოლიც, რომელიც მომდევნო მატჩს 28 აგვისტოს, ფლორენციაში ფიორენტინასთან გამართავს.

# კაშია და სლოვანი მოგებას გეგმავენ

ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ქართულ გუნდს, ბრატისლავის სლოვანს კონფერენს ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ფლეი ოფის საპასუხო მატჩი დარჩა. ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელის, ვლადიმირ ვაისის თავკაცობით, ბრატისლაველები შინ ბოსნიურ ჟრინსკის დაუხვდებიან. პირველი მატჩი ბოსნიელებმა მოიგეს.



საპასუხო თამაშის წინ კომენტარი საქართველოს ნაკრების მცველმა გურამ კაშიამ გააკეთა და აღნიშნა, რომ მიზანი ჯგუფურ ეტაპზე თამაშია.

**გურამ კაშია:**

– ჟრინსკისთან პირველ მატჩში კარგად არ გვითამაშია, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში ჟილინასთან გამარჯვებამ გუნდს უკეთესი განწყობა შეუქმნა. ხუთშაბათს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. ბოლო 2 თამაშია კარგსა და ცუდზე არ ვფიქრობთ, რადგან ეს უკვე წარსულია. ჩვენ მხოლოდ ხუთშაბათის თამაშზე ვართ კონცენტრირებული.

ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ დრო, რომლის განმავლობაში შეგვიძლია ტაქტიკურად მოვემზადოთ. ვფიქრობ, პირველ მატჩში აგრესიულობა გვაკლდა. კონცენტრაცია და გამარჯვების რწმენა მნიშვნელოვანი იქნება. შედეგი გვჭირდება, მინიმუმ 2 ბურთით მოგება. ადვილი არ იქნება, ჟრინსკი იბრძოლებს და კარგ ფეხბურთს ითამაშებს, მაგრამ მაინც ყველაფერი ჩვენს ხელშია. რამდენიმე თამაშში დავამტკიცეთ, რომ ძალიან კარგად თამაში შეგვიძლია. ბევრად უფრო აგრესიულები უნდა ვიყოთ, მჯერა, რომ გულშემატკივრებიც დაგვეხმარებიან, რომელთა გახარება გვინდა.

ვფიქრობ, საკუთარ მოედანზე განსხვავებული თამაში გვექნება, ვიდრე – სტუმრად. ჟრინსკიმ იქ ძალიან კარგად ითამაშა, თავისი სპეციფიკური გარემო გამოიყენა. ჩვენ, როგორც წესი, შინ კარგად ვთამაშობთ, მიუხედავად იმისა, რომ ევროთასებზე სახლში ჯერ არ მოგვიგია. ჩვენ გვინდა ეს შევცვალოთ.

ფლეი ოფში ვართ, სადაც იოლ მეტოქეს ვერ ვიპოვით. ევროპაში თამაში ყოველთვის რთულია. წინა ეტაპებზე ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, მჯერა, ახლა წარმატებას მივაღწევთ. კლუბს, ფეხბურთელებს და ქალაქს სურს ევროპული ფეხბურთი, რაც ჩვენი ყველაზე დიდი მოტივაციაა.

შეგახსენებთ, რომ სლოვანში კაშიას გარდა ჯაბა კანკავა და გიორგი ჩაკვეტაძე თამაშობენ. სლოვანისა და ჟრინსკის საპასუხო მატჩი კი დღეს გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გორგოძემ ამერიკაში ინგლისთან წააგო



2022 წელს ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში მოხვედრის შანსი ეკატერინე გორგოძეს ჰქონდა, მაგრამ ჩვენებური ავსტრალიელ მედისონ ინგლისთან ბრძოლაში გამოეთიშა – 5:7, 6:3, 6:7.

მატჩი სამ საათს გაგრძელდა. პირველი სეტი ავსტრალიელის იყო, მეორეში უკვე ქართველმა იმარჯვა და საქმე გადამწყვეტ სეტს მიანდეს. ბრძოლა აქაც ბოლომდე შედგა: გორგოძე თავიდან 3:1 დაწინაურდა, მერე 3:5 ჩამორჩა და ჩაწოდებაში ინგლისი იდგა. თუმცა, ეკომ მაინც მოახერხა მატჩში დარჩენა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. იქ კი ჩვენებური 8:10 დამარცხდა.

ამერიკის ღია პირველობაზე საქართველოს ღირსებას ნიკოლოზ ბასილაშვილი დაიცავს, რომელიც ბოლო პერიოდში ძალიან ცუდ ფორმაში იმყოფება და ზედიზედ 5 თამაში აქვს ისე ჩატარებული, რომ სეტიც არ მოუგია.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბრიტანული არაყი; 2. ლუკ ბესონის თრილერი; 3. კინოფესტივალი, კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება; 4. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 5. კურორტი რაჭაში; 6. ერთწლიანი მარცვლეული კულტურა; 9. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. „მანჩესტერ-სიტის“ ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი; 11. ვაჟა-ფშაველას პოემა; 14. სხვისი შვილების გამზრდელი ქალი; 16. სუსტი, ცვალებადი მიმართულების ქარი ზღვის სანაპიროზე; 18. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 20. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 23. ცხენოსანთა გუნდური თამაში ბურთით; 24. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 25. პროფესიონალი მონადირე; 26. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

**თარაზულად:** 7. დაბეგვილი და შემწვარი საქონლის ხორცის ნაჭერი; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 13. ფინური აბანო; 15. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 17. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 19. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 21. მსხვილად ნაქსოვი შალის საპალტოე ქსოვილი; 22. გარითმული აფორიზმი; 27. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 28. გერმანული ავტომობილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიჯი; 2. აგუნა; 3. გრიფი; 5. რატუშა; 6. ფეთხაინი; 9. იპოქონდრია; 10. ბარომეტრი; 11. რეზონანსი; 14. ობი; 16. სალათი; 18. ზმნა.

**თარაზულად:** 1. ფიგარო; 4. ტარტიუფი; 7. ხუცესი; 8. ფერხული; 12. მონცა; 13. ჰოპერი; 15. ბორანო; 17. ოდა; 19. ჟანდარმერია; 20. გაუდი; 21. კათეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მასკი; 2. კლონი; 3. ტანკერი; 4. ჯემი; 5. სენა; 6. გრანიტი; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. ტოკაი; 16. სეიკო; 18. არაბიკა; 20. ფორმატი; 23. ალაო; 24. ცხუმი; 25. ეროტი; 26. ლაპი.

**თარაზულად:** 7. პანკრეასი; 8. რეცეპტორი; 12. ფეოლა; 13. ფურია; 15. პუდრი; 17. კომენტარი; 19. რვალი; 21. სანტე; 22. კიტრი; 27. აკონკაგუა; 28. კომპლექტი.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნაწლავს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.8192 |
| ევრო | 2.7972 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.3199 |
| 100 რუსული რუბლი | 4.6716 |

## ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსათვის




## ფრენკი დე იონგი ბარსელონაში დარჩება



ბარსელონას ჰოლანდიელი ნახევარმცველი ფრენკი დე იონგი დიდი ალბათობით ბარსელონაში დარჩება. ამაზე ინფორმაცია ესპანურ მედიაში ვრცელდება. დე იონგის შეძენა მიუნხენის ბაიერნს სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერი გარკვეული მიზეზების გამო ჩაიშალა. ამის შემდეგ კი დე იონგმა განაცხადა, რომ მას ბარსელონაში დარჩენა სურს და ის სხვა გუნდებში გადასვლას არ განიხილავს.

## ანჩელოტი: „კაზემიროს წასვლა ტრაგედია არ არის“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კაზემიროს გუნდიდან წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალისთვის ეს დიდი დანაკლისი არ იქნება, რადგან მათ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ: „მინდა, რომ კაზემიროს წარმატება ვუსურვო, რადგან ის შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ მის გარდა საკმარისად გვყავს მოთამაშეები, რომლებსაც კაზემიროს შეცვლა შეუძლიათ, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ რეალი საგრძნობლად დასუსტდება“.

## სალაჰი: „ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს“

ლივერპულის ეგვიპტელმა ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა განაცხადა, რომ მის გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და მათ შეუძლიათ, რომ ტიტულები მოიგონ, უბრალოდ, ამისთვის საჭიროა მეტი შრომა და შანსების უკეთესად გამოყენება: „მინდა, რომ ლივერპულმა მოუმატოს და გულშემატკივარს ჩვენი ნამდვილი სახე ვაჩვენოთ. თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ლივერპული ისევ დაიწყებს გამარჯვებების სერიას“.



მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

მამაკაცს ეკითხებიან:
– რა საერთოა ვარდსა და ნარკომანს შორის?
– ორივე იჩხვლიტება.

●●●

ახალგაზრდა შეყვარებულის მამას ეუბნება:
– არ ვეწევი, არ ვსვამ, კარგი გამომუშავება მაქვს და თქვენი ქალიშვილის გარდა, ჩემთვის სხვა არც ერთი გოგონა არ არსებობს.
– ყმაწვილო, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქალიშვილზე ვერ იქორწინოთ!
– კი მაგრამ, რატომ?
– ეგღა მაკლია, მერე ცოლმა ტვინი შემიჭამოს იმის ჩიჩინით, რომ მაგალითი თქვენგან ავიღო!

●●●

მამაკაცი ნავმისადგომზე შეიჭრა, ნაპირიდან ხუთ მეტრში მდგომ ბორანზე ჩანთა მოისროლა, შემდეგ კი გაქანდა და თავადაც შეახტა, ბაგირს ჩაეჭიდა და გემბანზე ამძვრალმა შვებით ამოისუნთქა:
– უუჰ! მოვასწარი!
– რა თქმა უნდა, ეს კარგია, – ეუბნება კაპიტანი, – მაგრამ შეგეძლოთ, დაგეცადათ, სანამ ნაპირს მოვადგებოდით!

●●●

კომისიის წევრი მშენებლობის უფროსს ეკითხება:
– რამდენი ადამიანი მუშაობს ამ მშენებლობაზე?
– ბრიგადირით – ათი.
– და უბრიგადიროდ?
– არც ერთი.

●●●

კაცმა ბაღში თანასოფლელი ბავშვი ვაშლის ქურდობაზე დაიჭირა და ემუქრება:
– შობელძაღლო! დამაცადე, მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა მოპარვა!
– მაჩვენეთ, რა, ბიძია, თორემ უკვე მესამედ დამიჭირეს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სოფო ხალვაში: „ჩემს სახელთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს ბინძური კამპანია“

მომღერალი სოფო ხალვაში საგანგებო განცხადებასავრცელებს და ტელეკომპანია ტვ პირველს მის მიმართ ბინძური კამპანიის მიმდინარეობაში ადანაშაულებს:

– ბოლო 2 დღეა ჩემს სახელთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს ბინძური კამპანია. ტელეკომპანია პირველზე გავიდა სატელევიზიო სიუჟეტი, სადაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე ხელს ვუშლი უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ბათუმში, ვკრძალავ ომის ხსენებას ღონისძიებაზე. გამოქვეყნდა ჩემი მიმოწერა ღონისძიების ორგანიზატორებთან, რომელიც, რა თქმა უნდა, კონტექსტიდან არის ამოვარდნილი და მხოლოდ ის ფრაზებია წარმოჩენილი, რომლებიც საზოგადოებას შეუქმნის ილუზიას, თითქოს მე წინააღმდეგი ვარ დავეხმარო უკრაინელი ხალხისთვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნაში.



ძალიან ცუდია, რომ ამ ცალმხრივად გავრცელებული დეზინფორმაციის გამო ჟურნალისტებმა და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, ყოველგვარი ეთიკის უგულებელყოფით, ხმამაღლა გამომაცხადეს ჩემი ქვეყნის მოღალატედ!

გავრცელდა უამრავი პოსტი, სადაც ჩემ სახელთან მიმართებაში დაუსაბუთებელი ბრალდებებია წამოყენებული.

კეთდება უხამსი და ყოვლად გაუმართლებელი კომენტარები. ჩვენს საზოგადოებას ეს სჩვევია და, სამწუხაროდ, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც მსგავსი პროვოკაციის გამო უსამართლოდ იქნა გაკიცხული, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე და მეტიც, შეიქმნას პრეცედენტი, როცა დეზინფორმაციის გამავრცელებლებს პასუხს მოვთხოვთ მათ საქციელზე!

უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით წერილი მერიაში შემოვიდა 8 აგვისტოს, სადაც საუბარი იყო ჩვენი მხრიდან კონცერტის გაკეთებაზე, ანუ შემსრულებლები კონცერტს საწყის ეტაპზე არ ჰყავდა. ამის შემდეგ დამირეკა გიორგი კირთაძემ ნაციონალური მოძრაობიდან და მთხოვა შევხვედროდი ორგანიზატორებს. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მოიყვანდნენ 14 შემსრულებელს და ასევე გაუშვებდნენ 4-5 ვიდეო მიმართვას, რაზეც ასევე შევთანხმდით.

მალე კვლავ შეიცვალა პირობები და აღმოჩნდა, რომ კონცერტის მსვლელობისას შემსრულებლებზე მეტი ოდენობის ვიდეო მიმართვა იყო დაგეგმილი, მათ შორის, არა მხოლოდ ომის თემატიკაზე. ამასთან დაკავშირებით იქვე დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ კონცერტი, რა თქმა უნდა, ისე ვერ ჩაივლიდა, რომ ომი არ ხსენებულიყო, რადგან ომია! და ეს მე ძალიან კარგად ვიცი!

შევთანხმდით ასევე ტექსტზე, რომელიც წამყვანებს უნდა გაეჟღერებინათ. ტვ პირველის სიუჟეტში ჟურნალისტი მაქსიმალურად ცდილობს დააფიქსიროს, რომ მე, სოფო ხალვაში, ომის ხსენების წინააღმდეგი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების ორგანიზატორი ცხადად უარყოფს ამას, სამწუხაროდ, ამ ფაქტის ინტერპრეტაცია სწორედ ისე მოხდა, როგორც პროვოკაციის ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, რასაც ადასტურებს ამ თემისადმი და ჩემდამი მიძღვნილი პოსტები და კომენტარები.

აქვე, საჭიროდ ვთვლი გაგიზიაროთ მიმოწერა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ კონცერტის ორგანიზებაზე თანხმობაა გაცემული და საუბარია მხოლოდ ფორმატზე, რადგან კონცერტისთვის სცენაა საჭირო, ხოლო მიმართვებისა და განცხადებების გაკეთებას არ სჭირდება სცენა, რადგან ეს შეიძლება ნებისმიერ ადგილას გაკეთდეს.

ძვირფასო საზოგადოებავ! ძვირფასო ჟურნალისტებო! დღეს თითოეულ ჩვენგანს გვტკივა ის ვითარება, რომელიც უკრაინაშია!

თითოეული ჩვენგანი ვაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და მე, როგორც რიგითი მოქალაქე, არაერთხელ ვყოფილვარ იმ აქტივობების მხარდამჭერი, რომელიც უკრაინელი თუ ქართველი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას ეძღვნება!

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არაერთი კონცერტის ორგანიზებისთვის შემიწყვია ხელი, მათ შორის, სწორედ მე გახლდით სულ ახლახან სასტუმრო ,,მერიდიანში“ გამართული უკრაინელი ხალხისთვის მიძღვნილი კონცერტის მხარდამჭერი, სადაც ქართველ შემსრულებლებთან ერთად, უკრაინელი შემსრულებელიც იღებდა მონაწილეობას.

სამწუხაროა, რომ დღეს არ ხდება ინფორმაციის გადამოწმება და ,,სიტყვის თავისუფლება“ – „ყველაფრის უფლებად“ არის აღქმული!

იქნებ იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ მთავარ ომს ჩვენ თავადვე ვუცხადებთ ერთმანეთს, როცა ამხელა სიძულვილის გამოვლენა შეგვიძლია! როცა შეგვიძლია, რომ ასე დაუნდობლად, ასე განუსჯელად დავადანაშაულოთ ადამიანები! როცა არ გვაინტერესებს სიმართლე და უპირობოდ ვიჯერებთ ყოველგვარ ცილისწამებას!

მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ჩემი ქალაქი და მიყვარს ადამიანები.

მთელი ჩემი საქმიანობა სწორედ ამ სიყვარულის ასახვა და მტკიცებულებაა.

მთელი გულით ვულოცავ უკრაინას და უკრაინელ მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებ იცხოვრონ მშვიდობიან, აყვავებულ ქვეყანაში, სადაც თითოეული ბავშვი, თითოეული ადამიანი ბედნიერი და თავისუფალი იქნება!

## ნიკოლოზ რაჭველი: „მეზიზღება რუსეთი, როგორც სახელმწიფო!“



აცხადებს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი:

– მეზიზღება რუსეთი, როგორც სახელმწიფო! ეს არის დედამიწის როგორც სირცხვილი, ასევე მსოფლიო სამყაროს „დიპლომატიის“ ბრალიც!

ღმერთო, მომასწარი რუსეთის, როგორც იმპერიის განადგურებას. ჩემ რუს მეგობრებს, მეტწილად მუსიკოსებს, ბოდიშს ვუხდი, მაგრამ მათთვისაც უკეთესი იქნება ჩემი სანუკვარი ოცნების ასრულება!

## ასტროპროგნოზი



25 აგვისტოსათვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში საქმეს მინიმალური ძალისხმევა დასჭირდება. პარტნიორებთან კონტაქტი გაამართლებს. **კურო** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **ტყუპები** – მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად განეწყვეთ. მალე სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. **კირჩხიბი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ლომი** – ბევრი საქმე გაქვთ. ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა არც ისე მარტივი იქნება, როგორც გგონიათ. **ქალწული** – დასვენება გჭირდებათ. გადაღლა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ეცადეთ, დახურულ სივრცეში დიდხანს არ დარჩეთ. **სასწორი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ძალიან მოგიხდებათ წყლის პროცედურები. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური საქმიანობისათვის. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ახალი ნივთის შეძენისას. **მერწყული** – თქვენს ნიჭსა და პროფესიონალიზმს ფართო გასაქანი ეძლევა. არ იზარმაცოთ. **თევზები** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## თემო საჯაია ახალი გადაცემის წამყვანია



მომღერალი თემო საჯაია ახალი გადაცემის წამყვანი გახდა.

„თამაშგარეთ“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელშიც ტელეწამყვანი ცნობილ სპორტსმენებს მასპინძლობს:

– რევაზ ჩელებაძის ვარსკვლავი გავხსენით. გთავაზობთ ახალ პროექტს – „თამაშგარეთ“ – კიდევ ერთი ახალი გამოწვევა, ძალიან საინტერესო სპორტული გადაცემა, სადაც სტუმრად გვეყოლებიან ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენები, ვეტერანები და საინტერესო ადამიანები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 5. ველური ვარდი; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. პირი, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო წყობილებას; 14. ქართული ჟურნალი; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალზე ასვლით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. სლოვენიის ნაკრებისა და „დალასის“ კალათბურთელი; 12. ილეთი ჭიდაობაში; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან. 15. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. დენის წინაღობის ერთეული ფიზიკაში; 19. ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებდა საზავო ხელშეკრულების ძალით; 20. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 21. ქართული მხატვრული ფილმის „მიზანის“ კინორეჟისორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

